

## შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელო

ამ კატეგორიაში წარმოდგენილი თითოეული განაცხადი შეფასდება 9 კრიტერიუმის მიხედვით: აქედან 6 კრიტერიუმი უკავშირდება პროექტს, ხოლო 3 - კომპანიის ზოგად პოლიტიკას და საქმიანობას თანამშრომლებთან მიმართებით და ზოგად სტრატეგიას COVID-19-ის კრიზისის წინააღმდეგ. მაქსიმალური ქულა არის 100.

შეფასების კრიტერიუმი	რაზე გაამახვილებენ ყურადღებას ჟიურის წევრები	შეფასების დიაპაზონი
<b>პროექტთან დაკავშირებული კრიტერიუმები - ჯამური ქულის მაქსიმუმ 70%</b>		
<b>დაგეგმვა</b>		
1. პრობლემის აქტუალობა	პრობლემა/საჭიროება არის რელევანტური და სწორადაა იდენტიფიცირებული	0-10 ქულა
2. მართებული სტრატეგია/გადაწყვეტა	პრობლემის გადასაწყვეტად შეირჩა ეფექტიანი და ინოვაციური სტრატეგია	0-10 ქულა
<b>განხორციელება</b>		
3. მართვა და აქტივობები	განხორციელებულია ეფექტური და მრავალფეროვანი ააქტივობები; პროექტის მართვა გამართული და ეფექტიანია; კომპანია ატარებს საქმიანობის მონიტორინგს და ახერხებს სირთულეების გადალახვას	0-10 ქულა
4. კომპლექსური/ინკლუზიური მიდგომა თანამშრომლების კეთილდღეობის მიმართებით	კომპლექსური მიდგომა პრობლემის მიმართ; კომპანიამ გაითვალისწინა თანამშრომელთა სხვადასხვა საჭიროებები/სირთულეები და იმუშავა აღნიშნული მიმართულებით; თანამშრომლებისთვის გაწეული დახმარების მასშტაბი	0-10 ქულა
5. სწრაფი რეაგირება და ინიციატივის განგრძობადობა	COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირება; არა მხოლოდ ერთჯერადი არამედ უწყვეტი მხარდაჭერა	0-10 ქულა
<b>შედეგები</b>		
6. მიღწეული შედეგები	განაცხადში ნათლად არის წარმოჩენილი პროექტის/ინიციატივის სარგებელი თანამშრომლებისთვის; წარმოდგენილია რაოდენობრივი/გაზომვადი შედეგები; ინიციატივამ ხელი შეუწყო პრობლემის შემსუბუქებას; წარმოდგენილია ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებზეც ინიციატივამ იქონია ზეგავლენა.	0-20 ქულა

ზოგადი სტრატეგია და შესრულება - ჯამური ქულის მაქსიმუმ 10%		
7. ზოგადი პოლიტიკა და სტრატეგია თანამშრომლებთან მიმართებით (COVID-19-ის პერიოდის მიღმა)	კომპანიას აქვს ადამიანური რესურსების მართვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული პასუხისმგებელი პოლიტიკა; კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, კეთილდღეობის და პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ ინიციატივებს და საქმიანობას, რასაც აქვს კონკრეტული შედეგები; დანერგილი აქვს მართვის ეფექტიანი სისტემები.	0-10 ქულა
ზოგადი სტრატეგია COVID-19-ის წინააღმდეგ – ჯამური ქულის მაქსიმუმ 20%		
8. ზოგადი პოლიტიკა და სტრატეგია თანამშრომლებთან მიმართებით COVID-19-ის დროს	კომპანიამ სწრაფი და პასუხისმგებელი რეაგირება მოახდინა COVID-19-ის პანდემიაზე საკუთარი თანამშრომლების მხარდასაჭრად და დასაცავად. თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით განხორციელებული ინიციატივები - მაგალითად დისტანციურად მუშაობა, უსაფრთხოების ზომები და ა.შ. - დაიწყო ჯერ კიდევ მთავრობის ოფიციალურ რეგულაციებამდე.	0-10 ქულა
9. კომპლექსური მიდგომა COVID-19-ის წინააღმდეგ	კომპანიამ შეიმუშავა კომპლექსური მიდგომა და ინიციატივები მომწოდებლების, პარტნიორების, მომხმარებლებისა და საზოგადოების დასახმარებლად	0-10 ქულა

**შენიშვნა:** შეფასებისას გათვალისწინებული იქნება კომპანიის ზომა, საქმიანობისა და შედეგების მასშტაბი შეფასდება კომპანიის ზომასთან შეფარდებით.